



შირაქი

SHIRAKI

გამოცემის 1937 წლიდან
დადოგლისწყაროს პენიცილინების გაზეთი

№35 (9.994)
25 - 30 სექტემბერი 2021
ფასი: 60 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა

2 ოქტომბრის პანდემიური არჩევნები — ინდივიდუალური კალმები, პირბადე, თერმოსკრინინგი, საარჩევნო კაბინა ფარდების გარეშე



ქვეყანა კიდევ ერთ პანდემიურ არჩევნებს ჩაატარებს. ინდივიდუალური კალმები, პირბადე, თერმოსკრინინგი, დამცავი ფარებით შეიარაღებული კომისიის წევრები და საარჩევნო კაბინა ფარდების გარეშე - ეს 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების მთავარი ატრიბუტებია. ცესკოს თავმჯდომარე აცხადებს, რომ რამდენიმე დღეში საარჩევნო უბანთან მისული მოქალაქეები ხმის მიცემის პროცესში მონაწილეობას ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოში შეძლებენ.

ცესკომ შესაბამისი განკარგულება უკვე გამოსცა და ის 3 664 უბანზე გავრცელდება. შარშანდელის მსგავსად, თვითმმართველობის არჩევნებში ხმის მიცემის საშუალება ექნებათ კოვიდპაციენტებსაც, ასევე იზოლაციაში მყოფ პირებს, მათ სპეციალური ჯგუფი გადასატანი ყუთით მიაკითხავს.

ყურადღება!

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 50.2-4-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 2 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიებსა და კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი/უფასო პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ღირებულება კი 150 ლარით განისაზღვრება.

მაშორიტარობის კანდიდატები

მაღალი ფაქტორის მაქსიმალური №1 საარჩევნო უბანი
ბოჩა სამსახურში - „ქართული ოცნება“ №41
ლევან ბაგაშვილი - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ №5
მერი ნატროშვილი - „ლელო“ №9
ზემო ბაჩიალი - №2 საარჩევნო უბანი
ნოზარია ნატროშვილი - „ევროპული საქართველო“ №2
ლევან იბრაჰიმოვილი - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ №5
ნიკანო ნატროშვილი - „ქართული ოცნება“ №41
ელგუჯა მაგალაშვილი - სახალხო პარტია №44

არაოპიტი-ოვანი - №3 საარჩევნო უბანი
ანდროსო ტოჭაძე - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ №5
მარი გიგინიაშვილი - „ლელო“ №9
არსენა ბაგაშვილი - „ქართული ოცნება“ №41
გაგაძე - №4 საარჩევნო უბანი
ვაჟა ნიკოლაშვილი - „ევროპული საქართველო“ №2
მაგონა კორაშვილი - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ №5
გივი ბიბიაშვილი - „ქართული ოცნება“ №41
სოფელი სორაბაძე - №5 საარჩევნო უბანი
გიორგი გომილაშვილი - „ქართული ოცნება“ №41
დავით მაგალაშვილი - „ერთი-

ნი ნაციონალური მოძრაობა“ №5
ლევან ჯამალაშვილი - „ლელო“ №9
სამაქალი - №6 საარჩევნო უბანი
თამარ მოსეშვილი - „ევროპული საქართველო“ №2
ნინო ბობიაშვილი - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ №5
სიმონ ყოჩიაშვილი - „ქართული ოცნება“ №41
ზემო ბაჩიალი - №7 საარჩევნო უბანი
ლელო ლავინაშვილი - „ევროპული საქართველო“ №2
აშოტანი სარჯელი - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ №5
ნიკოლოზ ხუციშვილი - „ქართული ოცნება“ №41
ბესიკ ქავთარაძე - საინიციატი-

ვი ჯგუფი №51
არნილოვალი - №8 საარჩევნო უბანი
ნიკოლა კობახიძე - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ №5
სიმონ ნიკოლაშვილი - „ქართული ოცნება“ №41
ბიკო ბიკო - №9 საარჩევნო უბანი
პეტრე მუხრანბერი - „ქართული ოცნება“ №41
მურთაზ ხუციშვილი - საინიციატივო ჯგუფი №51
საინიციატივო ჯგუფი №10
საარჩევნო უბანი
ოთარ ფუტყალაძე - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ №5
კობა ზოსიძე - „ლელო“ №9
აშოტანი შანიძე - „ქართული ოცნება“ №41

ხმის მიცემის წესი და პროცედურები !

1. თითოეული ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად. დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა პირის ნაცვლად.
2. ხმის მიცემის პროცედურა ტარდება შემდეგი წესისა და თანამიმდევრობის დაცვით:

ა) კენჭისყრის ოთახში შესვლისას ამომრჩეველი გადის მარჯვნივ მდებარე მარჯვენა კარის მიხედვით. თუ ამომრჩეველი არ იქნება მარჯვენა კარის მიხედვით, მას მიეცემა კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება. კენჭისყრის ოთახში ამომრჩეველთა ნაკადის მოწესრიგებელი კომისიის წევრი კენჭისყრის ოთახში ამომრჩეველს შეუშვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მას წარუდგენს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობას ან საქართველოს მოქალაქის პასპორტს და ამომრჩევლისთვის განკუთვნილ სარეგისტრაციო მაგიდასთან ორზე მეტი ამომრჩეველი არ იმყოფება;
ბ) კენჭისყრის ოთახში შესული ამომრჩეველი მისი იმ საარეგისტრაციო მაგიდასთან, რომელსაც მიეკუთვნება ამომრჩეველთა სიაში შეტანილი მისი გვარის პირველი ასო, და ამომრჩეველთა რეგისტრაციის წარუდგენს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობას ან საქართველოს მოქალაქის პასპორტს. ამომრჩეველთა რეგისტრაციის ამომწმობის წარდგენილ დოკუმენტში/დოკუმენტებში აღნიშნული ამომრჩევლის საარეგისტრაციო მონაცემების ამომრჩეველთა სიაში არსებულ მონაცემებთან შესაბამისობას და ამ ამომრჩევლის სახისა და წარდგენილ დოკუმენტში/დოკუმენტებში და ამომრჩეველთა სიაში არსებული ფოტოსურათების ერთმანეთთან შესაბამისობას. შესაბამისობის დადასტურების შემთხვევაში ამომრჩეველთა რეგისტრაციის ახორციელებს ამომრჩევლის მარჯვნივ და ხელს აწერს ამომრჩეველთა სიის სათანადო გრაფაში, რის შემდეგაც ამომრჩეველი ხელმოწერით ადასტურებს საარჩევნო ბიულეტენის (ბიულეტენების) მიღებას. საარჩევნო ბიულეტენის (ბიულეტენების) გაცემისას ამომრჩეველთა რეგისტრაციის ხელს აწერს მის (მათ) უკანა გვერდზე სათანადო გრაფაში და ბიულეტენს (ბიულეტენებს) სპეციალური ბეჭდით ამომწმობს;

ხელში მხოლოდ ერთი კონვერტი აქვს;
ზ) კენჭისყრის დასრულების შემდეგ ილუქება საარჩევნო ყუთში სპეციალური კონვერტის ჩასაგდებად ჭრილი.
21. თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დასტურდა, რომ წარდგენილ დოკუმენტში/დოკუმენტებში აღნიშნული ამომრჩევლის საარეგისტრაციო მონაცემები (გარდა ფოტოსურათისა) შეესაბამება ამომრჩეველთა სიაში არსებულ მონაცემებს, მაგრამ ამომრჩეველთა რეგისტრაციისა ამ ამომრჩევლის სახე და წარდგენილ დოკუმენტში ან ამომრჩეველთა სიაში არსებული ფოტოსურათი ერთმანეთთან შეუსაბამოდ მიიჩნია, იგი მიმართავს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც ამ მუხლის 22 პუნქტით დადგენილი პროცედურის შესრულების შემდეგ ამომრჩეველს მისცემს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლებას.


22. თუ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე:
ა) დაადასტურა ამ მუხლის 21 პუნქტში აღნიშნული შეუსაბამობა, საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი ჩანაწერთა წიგნში საბაზისო განკუთვნილ გვერდზე აკეთებს ჩანაწერს, რომელშიც აღნიშნავს შეუსაბამობის ფაქტს, ამომრჩევლის სახელს, გვარს და ამომრჩეველთა სიაში მის რიგით ნომერს. ეს ჩანაწერი დასტურდება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის მდივნის ხელმოწერებით. საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი ჩანაწერთა წიგნს დაურთავს ამომრჩევლის მიერ წარდგენილ დოკუმენტის ფოტოასლს, რომელსაც დაამონტაჟა თავისი ხელმოწერით;
ბ) არ დაადასტურა ამ მუხლის 21 პუნქტში აღნიშნული შეუსაბამობა, მაგრამ მას არ დაეთანხმა ამომრჩეველთა რეგისტრაციის, რომელსაც გამოავლინა შეუსაბამობა, ჩანაწერთა წიგნში საბაზისო განკუთვნილ გვერდზე იგი ჩანაწერს თავის განსაკუთრებულ აზრს და ხელს მოაწერს, რის შემდეგაც საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი იქვე ჩანაწერს ამომრჩევლის სახელს, გვარს და ამომრჩეველთა სიაში მის რიგით ნომერს და ჩანაწერს თავისი ხელმოწერით დაადასტურებს. საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი ჩანაწერთა წიგნს დაურთავს ამომრჩევლის მიერ წარდგენილ დოკუმენტის ფოტოასლს, რომელსაც დაამონტაჟა თავისი ხელმოწერით.

3. საარჩევნო ბიულეტენის შევსებისას აკრძალულია სხვა პირის დახმარება. ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვს, ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი, გარდა:
ა) საარჩევნო კომისიის წევრისა;
ბ) კანდიდატისა;
გ) საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა;
დ) დამკვირვებლისა;
ე) პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლისა.
4. თუ ამომრჩეველს ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი ან სპეციალური კონვერტი, მან ეს უნდა აცნობოს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, უნდა ჩააბაროს გაუფუჭებული საარჩევნო ბიულეტენი/სპეციალური კონვერტი და მიიღოს ახალი.


8. კენჭისყრის შენობა იკეტება 20 საათზე. ამ დროისათვის რიგში მდგომ ამომრჩეველებს შეუძლიათ ხმის მიცემა, რისთვისაც საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დავალებით კომისიის ერთ-ერთი წევრი აღრიცხავს რიგში მდგომ ამომრჩეველთა გვარებსა და სახელებს, მათ რაოდენობას აცნობებს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ხოლო კომისიის მდივანი ჩანაწერთა წიგნში აღნიშნავს რიგში მდგომ ამომრჩეველთა რაოდენობას. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე აცხადებს, რომ კენჭისყრაში მონაწილეობა მხოლოდ რიგში მდგომ ამომრჩეველებს შეუძლიათ.
9. კენჭისყრის შენობის დაკეტვის შემდეგ გამოთვალის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილ პირებს საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წინასწარ განსაზღვრული საარჩევნო უბნის კენჭისყრის შენობაში შეაქვთ გამოთვალის შემთხვევაში შექმნილი საარჩევნო უბნის საარჩევნო ყუთი და საარჩევნო დოკუმენტაცია.

თვითიზოლაციაში ყოფნა
ამომრჩევლებზე არჩევნების
მონაწილეობისთვის სასკოლ 25-დან 27 სექტემბერს ჩაშლილი უნდა
მიხაროდ

საარჩევნო ადმინისტრაციისთვის მნიშვნელოვანია, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს ჰქონდეს შესაძლებლობა განახორციელოს კონსტიტუციით მინიჭებული საარჩევნო უფლება.
სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი ამომრჩევლების მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შექმნა 73 საარჩევნო უბანი.
სტაციონარულ დაწესებულებებში და იზოლაციაში მყოფი ამომრჩევლების არჩევნებში მონაწილეობას უზრუნველყოფენ სპეციალური ჯგუფები, რომლებიც ალტერნატიული იქნებიან შესაბამისი ეკვიპირებით და ამომრჩეველებს მოემსახურებიან სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების ზედმიწევნით დაცვით და უსაფრთხოების სრული გარანტიით.
საარჩევნო ადმინისტრაცია მიმართავს თვითიზოლაციაში მყოფ იმ ამომრჩევლებს, რომელთა მონაწილეობაც ოფიციალურად ფიქსირდება შესაბამისი უწყების მონაცემთა ბაზაში. 2 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის მიზნით, გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის მოთხოვნით, 25 სექტემბრიდან 27 სექტემბრის ჩათვლით, 10:00 საათიდან 22:00 საათამდე ზეპირი განცხადებით მოგვამართონ ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრს ტელეფონის ნომერზე 2-51-00-51 (შიდა ნომერი 0) და დროულად მოითხოვონ გადასატანი საარჩევნო ყუთით მომსახურება.
ასევე შეგახსენებთ, რომ სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი ამომრჩევლები მონაწილეობას მიიღებენ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს პროპორციული წესით გასამართ არჩევნებსა და თვითმმართველი ქალაქის /თვითმმართველი თემის მერის არჩევნებში.
აღსანიშნავია, რომ გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის პროცედურა დაიწყება კენჭისყრის დროს 08:00 საათიდან და დასრულდება 20:00 საათზე.
საარჩევნო ადმინისტრაცია მიმართავს თვითიზოლაციაში მყოფ პირებს, ვადების გათვალისწინებით, დროულად მომართონ საარჩევნო ადმინისტრაციას და გააიარონ შესაბამისი პროცედურები.



მაჟორიტარი კანდიდატები



„ქართული ოცნება“ №41

გიორგი სამუკაშვილი 1973 წლის 16 მარტს დაიბადა დედოფლისწყაროში. 1990 წელს დაამთავრა სამრეკლოს საშუალო სკოლა, 1996 წელს - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფო და სამართლის ინსტიტუტთან არსებული თბილისის ჰუმანიტარული ინსტიტუტი. პროფესიით ეკონომისტი. 2007-2014 წლებში მუშაობდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურის უფროს სპეციალისტად, 2014-2017 წლებში არის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, 2017 წლიდან ის საკრებულოს თავმჯდომარის მოად-

გილეა.

არის დედოფლისწყაროს საკრებულოს 2 მოწვევის დეპუტატი. წინა არჩევნებზე მას ნდობისა და საკრებულოს მაჟორიტარის მანდატი სამრეკლოს მოსახლეობამ მისცა. 2021 წლის არჩევნებზე ის ქალაქ დედოფლისწყაროს მაჟორიტარობის კანდიდატია.

გიორგი სამუკაშვილი აქტიურადაა ჩაბმული წინასაარჩევნო კამპანიაში, ყოველდღიურ რეჟიმში ხვდება მოსახლეობას. აქედან გამომდინარე, როგორც თავად ამბობს, კარგად იცის ქალაქ დედოფლისწყაროს პრობლემები. მისი არჩევის შემთხვევაში, ქალაქ დედოფლისწყაროში კეთილმოეწყობა მაღალსართულიანი კორპუსების ეზოები, გაუმჯობესდება წყალმომარაგება, გაგრძელდება ზრუნვა მოსწავლე-ახალგაზრდობაზე. „2021 წელი, ჩვენს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის წლად გამოცხადდა, რაც იმას ნიშნავს, რომ დაგეგმილია უამრავი ღონისძიება ახალგაზრდების ინტერესების გათვალისწინებით. ჩვენი გუნდი, გამარჯვების შემთხვევაში, ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ მოსახლეობისთვის დედოფლისწყაროში ცხოვრება ბევრად კომფორტული და მიმზიდველი გახდეს“.

ლევან ბაღაშვილი დაიბადა 1978 წელს დედოფლისწყაროში. 2001 წელს დაამთავრა თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტი, საფინანსო საბანკო საქმის მენეჯერის სპეციალობით, ხოლო 2013 წ. თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლა.


სამუშაო გამოცდილება: 2001-2006 წლებში სხვადასხვა დროს თელავის და დედოფლისწყაროს საგადასახადო ინსპექცია; 2002-2006 წლებში ქ.დედოფლისწყაროს საკრებულოს დეპუტატი, საკრებულოს მდივანი; 2006-2010 წლებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე; 2008-2010 წლებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი; 2010-2012 წლებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე; 2014 წლიდან დღემდე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“; სახელმწიფო ჯილდო: 2009 წელი „ღირსების ორდენი“; ოჯახური მდგომარეობა: ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

ჩვენი პრიორიტეტებია: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ნეპოტიზმი-სა და კორუფციის აღმოფხვრა; დედოფლისწყაროს ხალხი უნდა მართავდეს და არა კლანი! სოფლის მეურნეობის სფეროში არსებული სირთულეების აღმოფხვრა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის მეშვეობით; დედოფლისწყაროს ინფრასტრუქტურის განვითარება ხალხის კეთილდღეობაზე უნდა იყოს მიმართული და არა კორუმპირებულ ჩინოვიციკლებზე; ახალგაზრდობის რესურსი ჩვენს მუნიციპალიტეტს უნდა ხმარდებოდეს და ინტელექტუალური რესურსი თვითგადარჩენის მიზნით დედოფლისწყაროდან არ უნდა გაედინებოდეს.



ლევან ბაღაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატი ქალაქ დედოფლისწყაროს მაჟორიტარად რეფერანდუმის ლიდარი თქვენი ხმა დედოფლისწყაროს საკრებულოში



ელგუჯა მამულაშვილი

№44

ელგუჯა მამულაშვილი დაიბადა ქალაქ თბილისში 1969 წელს. დაამთავრა ქ.თბილისის №160-ე სკოლა, შემდეგ ქ.თბილისის მევენახეობა-მებაღეობის ინსტიტუტი (ხილის ტექნოლოგია - გადამამუშავების სპეციალობით). სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა ქ.თბილისში თავისი სპეციალობით, თუმცა, 10 წელზე მეტია დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს. ცხოვრება-საქმიანობას ამჟამად ზემო მაჩხაანში ეწევა. მას ძალიან უყვარს სოფელი და მისი თანასოფელები, რომლებთანაც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს და სწორედ თანასოფელების სიყვარულმა გადაწყვეტინა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მიღება.

რის გაკეთებას გეგმავს იგი, თუ მირზაან-მაჩხაანის მაჟორიტარ დეპუტატად აირჩევს ხალხი?

ელგუჯა მამულაშვილი ამბობს, რომ სახალხო პარტიას, რომელსაც სათავეში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი უფროსის მოადგილე, იოსებ (სოსო) გოგაშვილი უდგას, ხალხმა უნდა მისცეს ხმა, რათა:

- შეიცვალოს სისტემა სახალხო მმართველობით;
- გავხდეთ უფრო ძლიერი და თავისუფალი;
- დასრულდეს ქვეყანაში პოლიტიკური ტერორი;
- დავიცვათ ჩვენი უფლებები და მოვითხოვოთ მუნიციპალიტეტის რეალური დამოუკიდებლობა კუთვნილი ფინანსებისა და ქონების განკარგვის უფლებით;
- უნდა შეიქმნას „სამართლიანობის დამკვიდრების“ სახელმწიფო კომისია;
- ლუსტრაციისა და დეოკუპაციის სახელმწიფო პროგრამა.
- შეიქმნას პარლამენტს დაქვემდებარებული დამოუკიდებელი საგამოძიებო დეპარტამენტი;
- შეიქმნას ეკლესიას, სახელმწიფოსა და საზოგადოებასთან ინსტიტუციური პარტნიორობის ჯანსაღი გარემო.
- პოლიციას, უშიშროებასა და თავდაცვის უწყებებზე სამოქალაქო კონტროლის სრულფასოვანი მექანიზმები;
- შეიქმნას პარლამენტს დაქვემდებარებული ახალი დეპარტამენტი ანტიკორუფციული და ფინანსური დანაშაულობების გამომძიების მიზნით.
- შეიქმნას სახელმწიფო საინვესტიციო ბანკი, რომელიც რეალურად გაცემს უპროცენტო გრძელვადიან სესხებს.

საბოლოო ჯამში, ყველა ეს ცვლილება ადამიანების ცხოვრებას შემოაბრუნებს უკეთესობისკენ. მათ შორის, პრივილეგიებს მოუხსნის სათამაშო ბიზნესს და დაბეგრავს მსოფლიო პრაქტიკის მიხედვით. აღმოფხვრის დამანგრეველი ელიტური კორუფციას, მოსპობს კონტრაბანდს, ე.წ. „ატკატებს“ და ბიუჯეტის ყველაწილი მარცხვანა, რის შედეგადაც, თითქმის გაორმაგდება სახელმწიფო ბიუჯეტი და მივიღებთ შემდეგს:

- პენსია გაორმაგდება და გაიზრდება 600 ლარამდე!
- მასწავლებლის ხელფასი მოიმატებს თვეში 500 ლარით!
- ძალადუღონის უწყებების თანამშრომელთა ხელფასი გაიზრდება თვეში 500 ლარით!
- ვეტერანების დახმარება გაიზრდება 220 ლარიდან 500 ლარამდე!
- შშმ პენსია 500 ლარამდე!
- სამართლიანი და დემოკრატიული გახდება სახელმწიფო ინსტიტუტები!

სახალხო პარტიის №44-ის მთავარი მესიჯი კი ასე უღერს: „2 ოქტომბერს დედოფლისწყაროს მოსახლეობამ მონაწილეობა უნდა მიიღოს რეფერენდუმში, სადაც არჩევანი უნდა გაკეთდეს სისტემის სახალხო მმართველობით შეცვლაზე, სიღარიბის კეთილდღეობით ჩანაცვლებაზე, ქვეყნის გამთლიანებასა და უიმედობის დასასრულზე“

ლევან ჯაბაშვილი

პროფესიით ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსია, 1989 წლიდან მუშაობს დედოფლისწყაროში სხვადასხვა თანამდებობაზე. იყო გამგებლის პირველი მოადგილე, სოციალური სამსახურის უფროსი, საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის ხელმძღვანელი, დედოფლისწყაროს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე.

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე კენჭს იყრის პოლიტიკური გაერთიანება „ლელოდან“. ის ხორნაბუჯის მაჟორიტარობის კანდიდატია.

„ხორნაბუჯში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, ძალიან ბევრი ადამიანია სოციალურად დაუცველი. საკრებულოში მოხვედრის შემთხვევაში, მე ყველაფერს გავაკეთებ, რათა აღვადგინო ის სოციალური პაკეტი, რომელიც ამ ხელისუფლების მოსვლამდე არსებობდა ჩვენს მუნიციპალიტეტში. გული მწყდება, ეს პაკეტი ისე დაჩეხეს, რომ მხოლოდ უკიდურესად გაჭირვებულებს, ანდა მეოთხე სტადიის სიმსივნით დაავადებულებს ეხმარებიან, ისიც მიზერული და სტანდარტული თანხით - 500 ლარით.

მე ვპირდები ჩემს ამომრჩევებს, რომ ჩემი არჩევის შემთხვევაში, ჩემს გუნდთან ერთად, შევიმუშავებთ სოციალურ პაკეტს, რომელიც გაცილებით ფართო ფენებს მოემსახურება და ის არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი ტომარა ფქვილის დარიგებით.

ჩვენი მიზანია, დედოფლისწყაროს ბიუჯეტი მეტ მცხომ-პრეზს მოიხსაწეროს!“

„დედოფლისწყარო ჩვენი საქმეა!“



„ლელო“ №9

საარჩევნო კომისიის შეადგენლობა

Table with columns for candidate ID, name, gender, profession, and other details. It lists members of various election commissions across Georgia, including district and regional levels.

პრემიერის პროექტი „ბანახლებული რეგიონები“ ხორცს ისხამს



დედოფლისწყაროში არსებული შინამშენებელთა მემორიალს და მის გარშემო არსებულ 18 ჰა ტერიტორიას უნდა ჩაუტარდეს სარეაბილიტაციო სამუშაოები. მემორიალი ბაზალტის ფილებით და ეკლარის ქვით მოპირკეთდება, ასევე აღდგება ქანდაკებები. სკვერის მთავარ შესასვლელთან და მარცხენა შესასვლელთან მოეწყობა ღია ავტოსადგომი, ხოლო მთავარი შესასვლელიდან მემორიალამდე ხიფს და არსებულ ბილიკს ჩაუტარდება სრული რეაბილიტაცია. ტერიტორიაზე მოეწყობა სხვადასხვა სარეკრეაციო ზონები.

აღდგება მანამდე არსებული ტბა, ტერიტორიის გარშემო მთლიან პერიმეტრზე მოეწყობა 1700 მეტრი სიგრძის ველობილიკი, ბავშვთა გასართობი მოედნები სხვადასხვა ლოკაციაზე, ღია სპორტული მოედანი, როგორც ფეხბურთის ასევე ჩოგბურთის და კალათბურთის. ტერიტორიაზე მოეწყობა სხვადასხვა კაფეები და რესტორნები.

ქალაქის ცენტრალურ მოედანზე რეაბილიტაციის შედეგად მოხდება შადრევნის კედლებზე არსებული მოპირკეთების დემონტაჟი, რადგან დაზიანებულია და შეიცვლება ახალი ბაზალტის ფილებით. შადრევნის გარშემო მოეწყობა გამწვანება, რის ხარჯზეც გაიზრდება შადრევნის დიამეტრი. ცენტრალურ ქუჩებზე ფასადები განახლდება.

ულოცავენ!
დიმიტრი ყოჩიაშვილს!
 საყვარელო დიმიტრი, გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ წარმატებებს პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში. ხართ ბრწყინვალე ექიმი. ვამაყობთ შენით.
 პატივისცემით, შენი და ნონა, სიძე ზაზა, დისშვილები გიორგი და ლავით კიკაძეები.

ნანის, აკას, ნატალიას!
 ჩვენო ძვირფასებო, გულწრფელად გილოცავთ შვილთაშვილის, შვილიშვილის და პირველი შვილის დაბადებას. ბედნიერი ბავშვობა და მომავალი პატარა სანდრო ჯაფარიძეს! უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ საქვეყნოდ ცნობილ თქვენს ლამაზ ოჯახებს.
 პატივისცემით და სიყვარულით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ი.ჭავჭავაძის სახელობის მნიგნობართა ასოციაცია და დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაცია „ფიროსმანი“.

ყურადღება!
 მთავრობის დადგენილების შესაბამისად ყველა იურიდიული პირი „შპს“, სააქციო საზოგადოება, სპს, კოოპერატივი და ა.შ. ვალდებული არიან 2021 წლის 1 ოქტომბრამდე წარადგინონ ფინანსთა სამინისტროს პორტალზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ 2018, 2019, 2020 წლების ანგარიშგებები, რისთვისაც საჭიროა დარეგისტრირდეთ ანგარიშგების წარდგენის ვებ გვერდზე. წარუდგენლობის შემთხვევაში გათვალისწინებულია ჯარიმები.
 შპს „ლაშარი“ მზადაა მოგემსახუროთ გაანგარიშების შეფასებასა და წარდგენაში. ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: 593 23 11 46 ნინო; 591 22 44 95 ბენაღი

ა მ ი ნ დ ი		დ ე დ ო ფ ლ ი ს		ს ე ყ ა რ ო	
ორშაბათი 27.09 დღე	სამშაბათი 28.09 ღამე	ოთხშაბათი 29.09 დღე	ხუთშაბათი 30.09 ღამე	პარასკევი 01.10 დღე	შაბათი 02.10 ღამე
20°	9°	18°	11°	14°	10°
18°	11°	14°	10°	14°	10°
16°	10°	18°	10°		
კვირა 03.10 დღე	ღამე				
18°	10°				

გამომცემელი შპს „შირაქი“ დირექტორი ნინა შიოლაშვილი რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.	სარედაქციო კოლეგია: შუაშენი მანანაშვილი (ჟურნალისტი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზინა ქანჭავაძე (საქმის მწარმოებელი); გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „ეკოლორ პრესის“ სტამბაში.	რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)	რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
--	--	--	---